

მწერალი



მე გარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი
დაპსლვის ცხოვართათვის. იიან 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილასა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშეტალნი და ტვირთმძიმენი
და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 23

1883—1903

15 ღებელი


რედაქციისაგან. უმორჩილესად ვსთხოვთ ხე-
ლის მომწერთ, რომელთაც ამა წლის ხელმოსაწერი
ფული ჯერეთ კიდევ არ წარმოუდგენიათ, დაუჩქა-
რონ გამოგზავნას და მომავალი წლისათვის ვისაც
სურს უურნალის დაკვეთა დროზე შეგვატყობინონ.
შერწყმულ ხელის-მოწერის შირთები მე-14 გვერდზეა.

მხლანდელი დროის შირ-ვარაშის გამო.

მერთო ჩემო! რა რიგად გამოიცვალა კაცობრი-
ობა, მისი ხასიათი, ზე და ჩვეულება! რა რიგად
დაეცა და დაკნინდა ზოგიერთების სინდისი! როგორ
გაცრუვდენ ზოგიერთები და რა სიფლიდე გამრავლ-
და! წინეთ რამე სამარცხვინოს გულში თუ გაივ-
ლებდენ, თორებ საქვეყნოდ როგორ გაბედავდენ
გამოაშკარავებას. დღეს? დღეს-კი ზოგიერთებს ჯა-

შუშობით, ცილის წამებით, ბეჭდობით და სხვა-და-
სხვა არაწმიდაობით თავი მოაქვსთ და მედილურო-
ბენ კიდეც! ყოველს სისაძაღლეს არა თუ გულში
გაივლებენ მარტო, არამედ ბეჭდობით სიტყვით აც-
ხადებენ საქვეყნოდ და იქნამდისინ მიღის ზოგი-
ერთების თავგასულობა, რომ თუ არ დაემოწმე,
თუ არ დაეთანხმე წიაღმდეგობას გიშევს და უბე-
დურებას გექადება. მათი დაწერილი, მათგან თქმუ-
ლი, მათგან მოსაზრებული ისე შორს არის სიმარ-
თლეზე როგორც დედა-მიწა მთვარესა და ვარსკლავებ-
ზე. სწერენ გაბედულათ, რიხიანად, დარწმუნებულნი
არიან რომ გაბედულობით ციხეებს იღებენ. ან-კი ვის
მოერიდებიან? ლვის აღარ ეშინიანთ და კაცის არ
რცხვენიათ...

არ იკითხავთ რას სწერენ ეს ბატონები?
ერთი საქვეყნოდ აღიარებს, რომ წარსული



გველივით გზარება და მომავალი კიტრად უღირს.
მეორე იძახის: როცა სასულიერო წოდება აღარ
იქნება სწორედ მაშინ დადგება ხალხთათვის ბედნიერი
დროვი. მესამე გაიძახის ქართველები საქართველოში
კი არ ცხოვრებულან სხვა ქვეყნიდამ შემოსულან აქ
და ოსებისა და სომხებისათვის წაურმევიათ ადგი-
ლები და დაუსაკუთრებიათ. ზოგიერთები ამტკი-
ცებენ, რომ ქრისტიანობა საქართველოში იმდროი-
დება გავრცელდა როდესაც «ქრისტიანობის აღმადგე-
ნელი საზოგადოება» დაარსესო, ესე-იგი,
1860 წლიდან. ვიღაც გურული მოძღვარი
ამტკიცებს, რომ ჩვენ ეკალესიებში წირვ-ლოცვა
გაიმართა მხოლოდ საქართველოის რუსეთთან შე-
ერთების შემდეგო, თორებ წინეთ არც მღვდელი
ყოფილა და არც ეკალესიებით. ან-კი რა გასაკვირველია,
რომ ამ გურულმა უვიცმა მოძღვარმა სთქვას, რომ
წინედ არაფერი არ ყოფილო! წინან, კათ დროის
მას არა გაეგება-რა და ეხლანდედ ხომ სულ
არა იცის-რა. როგორც „საექსარხოსო, მოამბეში“
არის დაბეჭდილი გურიაში სულ უსწავლელი მღვ-
დები ყოფილან (იხ. „სასულიერო მოამბე“ № 22)
და როგორ შეუძლიათ მათ ჯეროვანი სიტყვები წარ-
მოსთქვან? მართალს ამბობს „სასულიერო მოამბე“,
რომ მღვდლებზე მეტად გურიაში მრევლი უფრო
განათლებულიაო. მართლა რის ცოდნის პატრონთ
მოაქვთ ასე თავი თუ მათ მრევლს ჩეტი განათლება
აქვსთ?...

„ივერია“-ში დაისტამბა ამ დღებში ერთი წე-
რილი ლ. დადეშექლიანისა. თავადი შეუწუხებია
„შავი ზღვის მოამბე“-ში დაბეჭდილ ამბაეს. ბ. ლ.
დადეშექლიანი ამბობს, რომ „შავი ზღვის მოამბე“
რაღაცა ჭორებს ავრცელებს, სწერსო ვითომც
სვანეთი სოხუმის ეპარქიას უნდა მიაწერონ. კნიაზს არა სწამს ეს ხმები და ჭორათ მიაჩნია! იმედს
აცხადებს, რომ ამისთანა ჭორებს არ მიაქცევს
მთავრობა ყურადღებასო. ძლიერ მოტყუფებული
ბძანდება ბ. ლ. დადეშექლიანი თუ სვანეთის მიწერა
სოხუმშე ჭორათ მიაჩნია! არა, ეს ამბავი ჭორი კი-არა ამ-
დვილია, ბ. კნიაზო და სინოდმაც უკვე დაამტკიცა
დიდისანია, მხოლოდ თქვენ ეხლა გაგიგიათ და ჭო-
რად მიგიჩნევიათ. დიალ, ასე ჩქარა ტყობილობენ
ჩვენი თავადები თავის ქვეყნის მცხოვრებთა საყურად-
ღებო ცნობებს!.. დიალ, მათ ნმდვილი ჭორებათ
მიაჩნიათ!..

**

არ გვჯერა, რომ მთელ დედა-მიწაზე იყვეს
სადმე შეგნებული ქრისტიანები, რომელთაც ისე
აბუჩად ჰქონდესთ აგდებული ბეჭდვითი სიტყვა და
მისი მნიშვნელობა როგორც ეს შენიშნულია ჩვენ
ქართველებში. ჩვენ დიდად მოგვაქვს თავი განათლე-
ბულ ქრისტიანებიდ, მაგრამ დიდად ჩამოშორებული
ვართ ზოგიერთ ურწმუნო ხალხებსაც. ივიღოთ,
მაგალითებრ, იაპონელები. გაზეთებით მტკიცდება,
რომ იქ ერთ ქალაქში ოცი სხვა-და-სხვა დღიური
გაზეთი გამოდის და მკითხველებიც ბევრი ყავსთ.
არავინ არ რჩება გაზეთი არ წაიკითხოსო. ჩვენში
ორი გაზეთია და ორიოდე თვიური და ორ კვირე-
ული უურნალი გამოდის ძლიერ-ძლივობით და ესეც
ძლიერ უკირსთ! წარმოიდგინეთ, მილიონ-ნახევარ
ქართველთაშორის ხელის მომწერლები ორი ათასა-
მდე აღის. არც ერთი უურნალ-გაზეთი ჩვენში არ
იბეჭდება ორი და სამი ათასზე მეტი, ჩვენ
ქართველთა სამწუხაროდ და მტრის სამხიარულოდ.
ერთ მილიონ ნახევარ ქართველებში უურნალ-გაზე-
თების მკითხველები ყოფილან სამი ათასამდე. ამ-
ნაირად ჩვენში ხუთას კაცზე უურნალ-გაზეთის მეტ-
ობელი გამოდის ერთი!

ძველ დროში უურნალგაზეთი სულ არ ყოფი-
ლაო, დარწმუნებული ვართ გვეტყვიან. მაგრამ ეს
არაფერი თავის გამართლებაა. ქვეყნის შექნამდის სულ
არაფერი არა ყოფილა-რა, მაგრამ დღეს სულ სხვაა.
გვერდით მცხოვრები ხალხი რომ სინათლით იყოს გაბ-
რწყინვებული დ შენ სიბნელით იყო მოცული, ი ეს
არის სამწუხარო. რაც ესთქვით საერთ წოდებაზე
იგვე ითქმის ჩვენს ქართველ სამღვდელოებაზედაც. უცხოეთში კი არც ერთი შესანიშნავი წიგნი არ
გამოვა, რომ პირველი სამღვდელოებამ არ წაიკით-
ხოს... სიღარიბე გვიშლის ხელსო, იტყვიან ხომებ-
ზოგიერთები, ამიტომ ვერ ვიწერთ უურნალ-გაზეთე-
ბსო. მაგრამ არა, სიღარიბე არ გვიშლის ხელს, ხელს
გვიშლის დამშევა და კუჭის მოთხოვნილება და ამავე
დროს გონების მეტი დაბლუნგება.

ლეპ. ლ. დამბაშიძე.



ქველი და ახალი უკოლები რაჭაში.

იქნება მკითხველმა იფიქროს აქ ძველ სკოლად უწოდებდეთ სამინისტრო სკოლებს, რაღაც სამ-რევლო სკოლებზედ წინად არიან დაარსებულნი.*.) არა ბატონებო, ჩვენ უწოდებთ ძველ სკოლად იმ სკოლას, რომელიც იყო აქ—რაჭაში სოფ. ნიკორ-წმიდას ორკლასიანი. მას აქეთ რაც ის აღარ არის უნდა იყოს 57 წელი. ვისის თაოსნობით დაწესდა ეს სკოლა ან როდის, ეს არ ვიცით. ამ სკოლით იყო ბეღნიერი რაჭის ყოველი წოდების კაცი რაღ-გან აქ ყველას ჰქონდათ სწავლის უფლება. ამ სკოლით აქ ნასწავლები მიღიოდნენ მრუდეს გზისა-გან კეშმარიტ გზაზედ, მტრობისაგან—მოყვრად იქცეოდნენ, უგუნურებისაგან—გონიერი ხდებოდ-ნენ. ასრეთია სწორეთ სკოლის მიზანიც. რაოდენი გაგვიგონია და გვინახვას უსწავლელი კაცი გზა დაბნეულია, რომელსაც თეთრი შავისაგან ვერ გაურ-ჩევია. ამგვარი უსწავლელისათვის ნათელია სკოლა. ნათქვამია: სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სი-ბნელეო და ჰეშმარიტიც არის! ვინ მოსთვლის თუ რამდენ კაცს დაუღუბავს თავი უსწავლელობით? გარდა ამისა აქ ნასწავლი ყმაშვილი ეხლანდელ ოთხ-კლასიან სასწავლებელში კურს დამთავრებულს ეთანასწორებოდენ ისრეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელ ორ-კლასიან სასწავლებელს. ეს სკოლა დაწესებული როგორც გარდმოცემით ვიცით საეკლესიო ხარჯით და ამ ხარჯითუ ინა-ხებოდა ის. ეს სასწავლებელი ქუთაისის ოთხ-კლა-სიანი სასწავლებლის ხელქვეითი იყო და ამიტომ ყოველს ყმაშვილების გამოცდის დროს, იქაური ზედამხედველი მოდიოდა, გამოსცდიდა ხოლმე ყმა-შვილებს და ვინც კი ისურვებდა და საზრდოს მი-ცემა შეეძლო, იმ ყმაშვილს გადაიყვანებდნენ ქუ-თაისის მაზრის სასწავლებლის მესამე კლასში. მაგრამ, სამწუხაროდ რაჭებელებისა, ქუთაისის ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველს გვარად განგეროვს,

*) შემცდარია ვინც ფიქრობს, რომ სამრევლო სკოლები დაარსებული იყვნენ ჩვენში სახალხო სკოლებზე უფრო გვიან. იმერეთის ეპისკოპოზმა სამრევლო სკოლები დაარსა 1860 წლიდან როცა სახალხო სკოლები სრულებით არ არსებობდნენ.

რედ.

აღმათ მოწყინა ამ სიშორეს და უმგვანო გზებში სიარული. მისის შუამდგომლობით ნიკორწმიდას ორკლასიანი სასწავლებელი—რაჭის ბეღნიერება მო-სპეს და ყოველი მისი ხარჯი გადაიტანეს ქუთაისის ოთხ-კლასინ სასწავლებელში და მასწავლებელიც იქ გადიყვანეს, ვგონებ 1844 თუ 1845 წელს. და ამით რაჭებელებისათვის მოსპობილი შეიქნა ბეღნიე-რება, უმეტეს იმათოვის რომელსაც ქუთაის შვილის გამოზრდა არ შეეძლო. მკითხველი თვითონ მიხვდება, რომ რაჭებელებს დიდი ხანი სკოლა აღარ ჰქონიათ. შემდეგ დაწესდა სამინისტრო სკოლები საზოგადო-ების ხარჯით თითქმის ყოველ საზოგადოებაში, ამ სკოლებისთვის მშვენიერი სახლები და მასწავლე-ბლებისათვის სადგომები გაიმართა მაშინდელი მაზ. რის უცეროსის თავადის ჩიჯავაძის განკარგულებით და თაოსნობით. ამ სკოლების გამგეთ იყვნენ და დღესაც მთელს ქუთაისის გუბერნიაში თუ არ ვსცდები მარტო სამი პირის მეტი არ არიან დირექ-ტორი რა ორი ინსპექტორი. ამათ სკოლების საქმე კარგათ მიპყავდათ და მიპყავთ ეხლაც. შემდეგ რამოდენისამე წლისა დაარსდა სამრე-ვლო სკოლებიც რომელთა დაწესება ძალიან გას-ჭირდა, არ იყო საშვალება სკოლების სახლების ასაშენებლად და არც მასწავლებელთა ჯამაგირებისა, მაშინ როდესაც ამ სკოლებს გამგები ჸყავს არა-თუ სამი პირი მთელ გუბერნიაში, არამედ თითო მაზ-რაშიც მეტი არიან და ყოველს ეპარქიაში საკუთა-რი თავმჯდომარე, მათი რჩევის წევრები და მეთვალ-ყურები და ამ პირებზე ცოტა ჯამგირი კი არ იხარჯება ყოველ წელს. ვინაც გამოჩნდა კერძო პირი გულშემატკიცარი აღაშენეს თავიანთი ხარჯით სკოლები და ინახვენ მას, მაგრამ ჯეროვანი ყურად-ღება არ არის მიქცეული ვისიც ჯერ-არს, და ამის-გამო ამ კეთილ კაცების მოქმედება თან-და-თან მცირ-დება და ზოგან სულაც მოისპო. ერთმა მღვ-დელმა თავის ბოსტანში ააშენა სკოლა თავისივე ხარჯით, დაარსა წიგნთ-საცავი სადაც ორასზე მეტია სხვა-და-სხვა წიგნი, ამ სკოლას ინახამს 9 წელიწა-დი, ამ სკოლის უწოდეს „სახელად „წერა-კითხვის სკოლა“, თუმცა სწავლის საქმე უფრო უკეთესად მიღიოდა. შემდეგ რჩევაში დაამტკიცა სამრევლო სკოლად. მაგრამ ისევ გადააკეთეს „წერა-კითხვის სკოლათ“ იმ მიზანისათვის რომ სამინისტრო სკო-ლა ახლოს იყო და სწავლაც ვერ მიღიოდა წესიე-რადო!..

საკვირველია ეპარქიალური რჩევის აზრი რა-
ტომ ამ რჩევის წევრთაგან არ გამოჩნდა ერთი,
რომ ეთქვა: თუ წინათ არ იყო ახლო სამინისტრო
სკოლაზე დღეს როგორ-ლა შეიქმნა? რადგან ეს
სკოლები თავიანთ აღილებზე არიან ისევე. თუ
სწავლა სუსტათ მიღის აქ სკოლა რა დანაშაულია?
ამაში ხომ მასწავლებელია დამნაშავე? მაგრამ სულ
სხვა მიზეზი უნდა იყოს აქ.

აღილობითი მეთვალყურე მამა სიმონ ჭე-
ლიძე ყოველ ღონეს ხმარობს სკოლების გამრავლე-
ბა-გაუმჯობესობაზე, მაგრამ სადაც უმცროსის მოქ-
მედება არ ეთანხმება უფროსისას იქ არავითარი
საქმე არ გაკეთდება. ეპარქიალური მეთვალყურე
მასწავლებლებს ეუბნება თუ ერთჯერ ანუ ორჯერ
დააკლდეს ზაგირდი სწავლას შემდეგ ნუდარ მიიღებთ
იმ ყმაწვილოსი. ამაზედ მასწავლებელი უპასუხებს:
თუ ესრუ მოვიქეცა შეგირდები ყველანი წავლენ
და ვიღას ვასწავლი არ? ის ურჩევს სკოლა დაკე-
ტეთო. მათ სურსო რომ რაჭაში სკოლები თუ არ
მოისპობა შემცირდეს მაინც და მათთაც შეუმცირდება
შრომა. როგორც შევიტყვეთ სამი სკოლა დაკეტი-
ლია აქ. უმთავრესი მიზეზი სკოლების დაკეტისა ის
არის რომ სადაც კერძო პირი თავის ხარჯით აარ-
სებს სკოლას და სამოსწავლო რჩევას არაფერი
ეხარჯება უწოდებს მას ამ სოფლის სახელს სადაც
დაარსდა, მიუხედავად იმისა რომ სოფელს კაპე-კიც
არ დაუხარჯავს მის აშენებაში. მაშასადამე ამ სკო-
ლას უნდა ეწოდოს სახელი და გვარი იმისი ვინაც
დაარსა. მართალია, ქველ-მოქმედს არ უნდა სურდეს
საქვეყნოთ გამოცხადება თვისი ქველ-მოქმედებისა,
მაგრამ ბევრია ხალხთა შორის რომელსაც სასიქა-
დულოდ მიაჩნია თვისი ქველ-მოქმედების საქვეყნოდ
გამოცხადება. არის კიდევ სხვა მიზაზები სკოლების
შემცირებისა. როდესაც ეპარქიალური რჩევის გა-
მომცდელი შეგირდებს სცდის თუ შეგირდმა ვერ.
მიუგო იმ შემთხვევაში ყმაწვილებთან უჯავრდება
მასწავლებელს. ამის შემდეგ რა პატივისცემა და
გავლენა უნდა ჰქონდეს მასწავლებელს შეგირდები-
საგან? გარდა ამისა ისე მწყრალად ჰკითხვები ყმა-
წვილებს, რომ რაც იციან მასაც ვერ უგებენ ში-
შით. მე ვიყავი სკოლაში მასწავლებლათ, მაგრამ
რადგანაც გამოცდილი არ ვიყავი ბავშვების სწავ-
ლაში ამიტომაც დირექტორმა ჩემი ზაგირდები არ
მოიწონა. გამოცდის დროს ბავშვებთან პა-

ტივისცემით მომექუა და ბავშვების სკოლიდან
დათხოვნის შემდეგ როდესაც ბინაზე წამოვედით
მაშინ-კი ბევრი მისაყვედურა და ბევრი დარიგებაც
მომცა თუ რა წესით მესწავლებია შეგირდებისათვის
შემდეგში. ის ასრე პატიოსნად იქცევიან სამინისტრო
სკოლების გამგეები და კარგათაც მიღის მათი საქმე.
მათი ერთკლასიანი სკოლები ორკლასიანად გადა-
კეთდა და სამრევლო სკოლების ორკლასიანად და-
არსება ყოველს მაზრაში დიდი ხანია გვესმის, მაგ-
რამ დღესაც არსად არის აქ, ჩვენდა სამწუხაროდ.

რაჭებელი

შესრულებული გვერდი იმართიდან.

ვინ უარყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ დედა-
მიწაზედ ჯერ არსად დაარსებულა ისეთი სასწავ-
ლებელი, რომელშიაც შეეძლოს კაცის სრულებით
დამთავრებული სწავლა-განათლების მიღება და სი-
სწავლებელს გარეშე ცოდნის შეძენისათვის ზრუნვა
საჭირო აღარ იყოს; ან ვის უნდა ექმნეს საეჭვოო,
რომ კაცის, რაც უნდა შედარებით დიღხანს იცოც-
ხლოს და მთელი თავისი ძალ-ღონე სწავლის შეძე-
ნის შეალიოს, მაინც არასოდეს არ შეუძლია სოჭვას;
ეხლა-კი კმარა, მივაღწიე განათლების უმაღლეს
ხარისხის მდგრად და იწ შემიძლია დავსტკბე ჩემგან შეძე-
ნილი ცოდნის ნაყოფითაო. თუ ეს ასე ითქმის ისეთ
პირებზე, რომლებსაც ესრუ წოდებული უმაღლესი
განათლება მიუღიათ, რაღა უნდა ითქვას ისეთ
პირებზე, რომლებსაც სასწავლებელში მარტო წერა-
კითხვა უსწავლიათ და სამეცნიერო საგნებიდნ კი
ანაბანისებური ცოდნა მიუღიათ. ასეთ პირებს ვკუ-
თნის სწავლა-განათლების მხრით ჩვენი სამღვდელო.
ების უმეტესი ნაწილი. ის ამიტომ ჩვენი სამღვდე-
ლოება, თუ არ სურს თანამედროვე ცხოვრებას
ჩამორჩეს და სამწყსოს ჯეროვანი სამსახური გაუწიოს,
უნდა ცდილობდეს ცოდნა გაიფართოვოს თვითგან-
ვითარების საშუალებით. დღეს სამღვდელოებისაგან
მეტს თხოვილობს როგორც საზოგადოება, ისე
მთავრობაც. მარტო წირვა-ღოცვის ჩარახრახებას
და საკურთხევის კურთხევების აღარ გვჯერდებიან. სამ-
ღვდელოებას დავალებული გვაქვს სკოლის საშუა-

ლებით მოზარდ თაობას პირველდაწყებითი ცოდნა მივსცეთ; ჩვენგანვე მოითხოვება დაუზარელი და დროს შესაფერი სწავლა-მოძღვრებით დიდების ზეობის განსცეტაკება და სწორე გზის ჩვენება. ყველა ამაების პირნათლათ შესრულება მხოლოდ იმ მოძღვას შეუძლია, რომელიც გონებითა და ზეობით თავის მრევლზე გაცილებით მაღლა სდგას. სამღვდელოებას უნდა ახსოვდეს, რომ ვინც სხვის სწავლებას კისრულობს, ის თვითონაც მუდამ უნდა სწავლობდეს. შესახებ სამღვდელოებისათვის თვითგანვითარების საჭიროებისა ამ ბოლო დრომდე ბევრი არაფერი თქმულა და არც დაწერილა. ზოგიერთი ჩვენი თანამომენი ძლიერ შერიგებოდენ ამ აზრს, რომ თვითგანვითარების მასალათ ან ხელსამწყოთ სრულებით საკმაოა ჟამნ-დავითნი, ლოცვანი და კატეხიზმო, ან კიდე რომელიმე სასულიერო გამოცემა, ხშირათ გაუქრელი ფურცლებით. ი წება ეს სიტყვები კიდეც იმწუთხოს ვინმემ, მაგრამ რთლის თქმამ არავინ არ უნდა გააწიწმოტოს: მერწმუნეთ, ეს სიტყვები სამღვდელოების უმეტესობას ზეგვეხება და ვისაც არ შექება ისინი შეაღენენ წვეთს ზღვას ში. ეს მოვლენა კარგათ შეგნებული აქვს ჩვენი სამღვდელოების საკუთხესო ნაწილს და აღმათ ამ შეგნებულებამ აღძრა კითხვა შესახებ წიგნთ-საცავების დაარსებისა სამღვდელოებისათვის. ამ დაწერებულებათა საჭიროების საყოველთაოდ შეგნებისა თუ სხვა რაიმე წვრილმანი მოსაზრებისა გამო ზოგიერთა საბლალობინების მღვდლებმა მოისურვეს თავიანთ საბლალობინებში საკუთარი ბიბლიოთეკების დაარსება. წიგნთ-საცავების დაარსება არა-თუ თითეულ საბლალობინებში, თითეულ შტატის ექლესიასთანაც საჭიროა, მაგრამ წიგნთ-საცავების დაარსებას, ერთმანერთის ჯიბრებას ვარდა, კარგა დიდი თანხაც სჭირდება და ვაი თუ ერთმანერთის მიუყოლობით ჩვენი წიგნთ-საცავების დაარსების საქმე იმ მდგომარეობაში დარჩეს, როგორმიაც ის ურემი დარჩა, რომელშიაც გეღი, კიბი და თევზი შეებენ. ეჭვი არ არის, ეს ასეც იქნება და თითეულმა საბლალობინომ ამ თავად კიდეც რომ მოაგვაროს წიგნთ-საცავების დაარსების საქმე, ბოლო უეჭველათ ცუდი ექნება. ამ საქმისათვის მიუკილებლათ საჭიროა შეერთებული ძალა, თუ მთელი ეპარქიის არა, თითეული მაზრის სამღვდელოებისა მაინც. სხვა მაზრების შესახებ რა მოგახსნოთ და

შორაპნის მაზრის სამღვდელების უმეტესი ნაწილი-სათვის-კი ძლიერ დამარჯვებული იქნება წიგნთ-საცავი დ. ყვირილაში დაიარსოს, რადგან იქ ისედაც მთელი მაზრისათვის ბევრი საერთო დაწესებულება არსებობს. ესვე არის აუკილებელი გზა, სადაც უსათურო უნდა გაიაროს ზემო მხრიდან ქუთაისში მიმავალმა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შორაპნის მაზრის ზოგიერთა საბლალობინოს მღვდლებს უფრო შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით დაბა ყვირილაში, ვინემ თავთავისავე საბლალობინოში დაარსებული ბიბლიოთეკით, მით უმეტეს, თუ ეს ბიბლიოთეკები ბლალობინის ბინასთან იქმნენ. რომ სამაზრო ბიბლიოთეკის დაარსება დაბა ყვირილაში ერთი სამათ უფრო იაფად დაუჯდება თითეული ეკკლესის კრებულს და მასთან ბიბლიოთეკაც უფრო მდიდარი, დღეგრძელი და ნაყოფიერი იქმნება, ამისი დამტკიცება არავისთვის საჭირო არ უნდა იყოს. საჭიროა მხოლოდ ის, რომ ამ კეთილი განზრახვის საქმეთ ჭრევას სამღვდელოება რაც შეიძლება დროით შეუდგეს.

მდ. ს. ჭუმბურიძე

ზერილი რედაქციის სადგი.

ამ ბოლო დროს რუსეთში შესამჩნევათ იღვამს ფეხს გვრეთ წოდებული „საკვირაო სახალხო კითხვები“. ეს საკვირაო კითხვები იშართება როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიც. კითხულობენ მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგიდამ; სარწმუნოება-ზეობრივი სწავლა, ისტორია, გეოგრაფია, ასტრონომია (ვარსკლავთ მრიცხველობა) მათემატიკა, მედიცინა (სამკურნალო სწავლა), ლიტერატურა და მრავალი სხვა... აი საგანი სახალხო კითხვებისა. რამოდენიმე წლის თითქმის შეუწყვეტელმა საკუთარმა გამოცდილებამ ღრმად დამარწმუნა, რომ ამ კითხვებს, რომელთაც, უნდა ვსთქათ, მდაბიო ხალხი მუდამ ბლომად ესწრება, ხალისით და გულმოდგინეთ ადეგნებს თვალ-ყურს წაკითხულ საგანს, განსაკუთრებით მაშინ, თუ საკითხი ადვილი, გასაგები ენით არის დაწერილი, ლექტორი ლაზათიანათ კითხუ-



ლობს და ამასთანავე — თუ ეს კითხვა ჯადო-ფარნის შემწეობითაც სურათდება, — დიდი სარებლობა მოაქვს ხალხის გონებისა და ზნეობისათვის. ჩემის აზრით ჩვენი ქართველი ერის გამოსაფხიზლებლათ, მისი ზნეობისა და გონების გასავითარებლათ, კარგი იქმნება, ქართულ ენაზე ამისთანა კითხვებს რომ ვმართავდეთ. რასაკეირველია, სოფლებში ეს არა ადვილი საქმე. უნდა იყისრონ მღვდლებმა (ახალგაზრდა განათლებულებმა) და სოფლის მასწავლებლებმა, როგორც სოფლის მოწინავე, შეგნებულმა და განათლებულმა პირებმა. ამით მღვდლები დიდი სარებლობას მოუტანენ თავის ხალხს, ყველას სიყვარულსა და პატავის ცემის დაიმსახურებენ და აცილდებიან იმ — შეიძლება რამდენათმე მართალს — ჩვენი ხალხის ზოგიერთ ნაწილის და ინ ტელიგენციის შეხედულობას ჩვენზე, რომ ჩვენ, მღვდლები ვითომოც «მარტო მეტაბლენი ვართ». ჩვენ ამგვარ სასარგებლო მოქმედებას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ახლა, როდესაც, როგორც ბმები დადის, ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში არასასიმოვნო მიმართულება იღვიძებს და ცუდი დამრ კიდებულება იჩნენ თავს მღვდლებას და მრევლს შორის.

მაგრამ ამ სასარგებლო საქმეში ერთი ფრიად დიდი დაბრკოლება გველობება გზაზე — ეს არის უმექონებლობა საჭირო წიგნაკებისა. რუსულ ენაზე მრავალია ამნაირი წიგნაკები. განსაკუთრებით ბევრსა ბეჭედაში ამგვარ წიგნაკებს „უმაღლესი ბრძანებისა-მებრ დაარსებული მუდმივი კომისია სახალხო კითხვათა“. ურიკო არ იქნება, ვისაც ძალა შესწევს, ამისთანა წიგნაკებს თარგმნიდეს ქართულ ენაზე.

გიგზავნით ამასთან პირველ ჩემ ნაშრომს წმიდისა და საკვარევეთ მოქმედის წიკლოზის ცხოვრების თარგმანს რუსულიდან ქართულად. იმედია დაბეჭდავთ მას და მით გააცნობთ ჩვენ ხალხს ამ შესანიშნავი წმინდანის ცხოვრებას. *)

მდ. ბ. გარენაძე.

*) ჩვენ უკვე შეუდევით ბეჭედას ხალხისათვის სასაუბრო საკითხავებისას.

დიდის სიამოვნებით გასრულებთ მამა ბეჭარიონ კაპანაძის სურვილს. იმედია ჩვენი სამღვდელოება მიიღებს მონაწილეობას ამ საკეთოლო საქმეში და შეძლებისა-და-გვარად დაგვეხმარება.

რედ. დეკ. ლამბაშიძე.

ახლად შობილს ჩრისტიან აკვანთან.

(საშობაო მთხოვნების მოგების თავისაც ცემიზე)
(შემდეგი*)

ორი საათის განმავლობაში აქლემი ჩეარის ნაბიჯით მიღიოდა აღმოსავლეთისაკენ. ამ ხნის განმავლობაში მგზავრს თვისი, მდგომარეობა ინ შეუცვლია: არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ მიუხედავს. სივრცე უდაბნოში განიზომება არა მიღებითა და ვერსებითა, არამედ საათობითა და მანძილობითა: სამ-ნახევარი ვერსი შეადგენს საათსა და 15—20 ვერსი-კი — მანძილსა; მაგრამ ეს აქლემისათვისაა მხოლოდ დანიშნული. ნამდვილს სირიულის ჯიშის აქლემს შეუძლია გაიაროს სათში ნელის ნაბიჯით სამი ვერსი; მისი სიარული ჩეარი ქარზე მაღიდა. ჩეარის მოძრაობისა გამო სანახვიც იცვლება. ჯებელი გაჭიმულიყო დასავლეთის ცისკიდურის გასწვრივ, თითქო თეთრ-მუქი არშიააო. აქა-იქ მოსხანდნენ თელლები; გარშემო ქვიშა იყო, ხან ლბილი და ხან ლიბისებური. ჰაერიც შეიცვალა: მზე რაც მაღლა იწეოდა, იმდენად დილის ნამს აშრობდა, დილის ნიას ჰფანტავდა და ნიას ატფობდა. სიგრძე სიგანით როგორც რძე ისე მისი სხივებიდან მოსხანდა დედა-მიწა, ცა სრულიად გაბრწყინვებულიყო.

ორი საათი კიდევ იარა ჩვენმა მგზავრმა, არც გაჩერებულა და გზიდანაც-კი არსად მიუხევია. მცნარეულობა სრულიად იღარ იყო. აწი ყველგან ქვიშის მეტი არა-იყო-რა. ჯებელი თვალიდან მიეფთარა. აჩრდილმა, რომელიც აღრე მგზავრის მხლებელი იყო, ჩრდილოეთისაკენ გადაიწია; რადგან გაჩერებით არსად გაჩერებულა მგზავრი ამისათვის იგი რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო მოუთმენელობას გრძნობდა.

უნდა ვიცოდეთ ის, რომ სასიამოვნოდ დროს გასატარებლად უდაბნოში არავინ არ წავა. მხოლოდ ცხოვრებისა და შრომის მოთხოვნილებანი აიძულებდენ აღამიანს იქ მოგზაურობასა. იქ ყველგან საძაგელი გზებია. თვით გამობრძმებულის შეიხის გულიც-კი შიშს იგრწნობს როდესაც ის ერთია ამ უგზო-უკვლი სივრცეში. აგრეთვე ეს კაციც, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, სიამოვნებით

*) იხ. „მწევმა“ № 23—24, 1902 წ.

დღოს გასატარებლად არ მოგზაურობდა იქა. არც-თუ ვინმე მწირსა ჰგავდა იგი, რადგან ერთხელაც არ მოუხედნია უკან. ამისთანა მდგომარეობაში შიში და ცნობის მოყვარეობა ერთი მეორეში ირევიან ხოლმე; მაგრამ იგი-კი ამათ არც ერთს არ გრძნობდა. როდესაც კაცი მარტოდ მარტოა ამხანავობა მისთვის ძვირფასია: ძალით დაახლოვებული მეგობარია, ცხენი—ამხანავი, რომელთაც ალერსიანად ეპყრობიან. აქლემი ამაებს ყველას მოკლებული იყო, არც ნაზი ხელის გადასმა და არც ალერსიანი სიტყვა.

სწორედ შუადღე იქმნებოდა, რომ აქლემი თვისის ნებით შეიტრდა და საბრალოთ ამოიკვნესა, ეს ნიშანია ან უზომო ტვირთისა და ან დასვენებისა. მგზავრი შეიშმუშნა, თითქო ახლა გამოელვია. მან გადასწია თვისის კარვის ფარდასა, დაიწყო ცქერა, ყურადღებით მიათვალ-მოათვალიერა გარემო. მერმე ღრმად ამოიხსრა, თავი გაიქნია თითქო უნდა თქვასო: მადლობა ღმერთს, დაბოლოს ვეღორსეო! ხელები გულზედ გადაიჯვარადინა, ძირს თავი ჩაღუნა და ლოცულობდა. აასრულა რა მან ეს კეთილ-შობილური მოვალეობა მოემზადა აქლემიდან ჩამოსახდომათ. მისი გულიდამ აღმოხდა ის ხმა, რომელიც ხშირად სმენია იობის საყვარელს აქლემსა, —იყ—იყ! დაიხექბის ნიშანია. აქლემი დაემორჩილა პატრინსა, მგზავრმა ფეხები დააჭირა მის ლინდლის კისერს, იშვირა და გადმოხტა იქიდამ ძირს, ქვიშაზედ.

II სამის მოგზაურის შეხვედრა.

ის კაცი, რომლის დანახვა ახლა შესაძლებელი იყო, საოცარის მოყვანილობის იყო, თუმცა არც თუ-ისე რიგად მაღალი, მაგრამ ძალზე ღონიერი. კუფის დასამგრებელი ზონარი რომ შამოიხსნა თავზედ, სახე მრთელად გამოუჩნდა, ძირს კალთები ჩამოუშო, სახე კარგი გამომეტყველების ჰქონდა და თითქმის ნეგრის სახეს მოგაგონებდათ; მაგრამ დაბალი, ფართე შუბლი, კეხივით ცხვირი, დიდრონი თვალები, ხშირი, მოელვარე და კულულებათ მხრებზე დაყრილი თმები—ესენი ყველა დიდი კაცის ნიშანი იყო.. ასეთი იყვნენ ფარაონები და პტოლომეები. ასეთი იყო აგრეთვე მისრამი, ეგვიპტელების მამათ-მთავარი. მას ტანთ ეცვა ქანისი, ვიწრო სახე-დოებიანი თეთრი, ბამბის პერანგი, გულ ამოჭრილი,

ზემოთ-კი—აბა. მისი ფეხთ-საცმელები იყო ლვედებიანი სანდლები. ქანისზედ ქამარი ჰქონდა შემორტყმული. რადგან იგი მარტოდ-მარტო იყო და უდაბნო კი სავსე იყო ლომებითა და ვეფხვებითა იფიქრებდით რაიმე იარალი ექნებოდა ამ კაცას, მაგრამ მას ჯოხიც, აქლემის გასარეცა, კი არ ჰქონია ხელში. აქედამ ჩვენ ის უნდა დავსკნათ, რომ მის მოგზაურობას სხვა გვარი მნიშვნელობა ჰქონდა; ის ან ძრიელ ყოჩადი იყო, ანუ სხვის მფარველობის ქვეშე იმყოფებოდა. მისი თანამდზავრნი გაუკებდული იყვნენ რადგან მგზავრობა გრძელი და მოსაქანცავი იყო. უდაბნოს კიდევებისაკენ მგზავრი ხშირად იხედებოდა; როდესაც მისს სამზღვებს თვალით გარს შემოივლიდა სახეს შეიჭმუხვნიდა და ვინც დაუკვირდებოდა მისს სახეს მოლოდინის გრძნობას ამოიკონავდა; კარგი დამკვირვებელი იმასაც-კი გამოიიდა, უა რამ იძულა ეს კაცი ამ შორეულს ქვეყანა მისვლას.

მგზავრი თუმცა სასოწარკვეთილივით იყო, მაგრამ ჯერებელი იყო რომ იგი ვილაცს მოელოდა. იგი მოვიდა კარავთან და ამოიღო იქიდამ ღრუბელი და ღვინიანი მათარა, რომლითაც გამობანა აქლემს ყური, ნესტოები და ტუჩი. ეს რომ გაათავა იღო მრგვალი თეთრ-წითელ ზოლებიანი ტილო, წნელების კონა და გრძელი ჯოხი. პატარა ჯოხები ისე იყვნენ დაკეცილი, რომ გაგეშალა კაცის სიმაღლემდე უწევდენ. დიდი ჯოხი მიწაში ჩასო და მის გარშემო მოკლე ჯოხები შემოუსო, აიღო ტილო და გადააფარა ზემოთ იმათ, ასე რომ ხელად გაჩნდა სახლი თუმცა არა მისი სასახლეს მგვანე. ამოიღო კიდევ ფარდაგი და გააგო მის ქვეშ. მერე ერთხელ კიდევ შეხედა ნამეტანის ცნობის-მოყვარეობით არე-მარეს. გაიხედა და ერთი კუთხიდან მოცუნცულებდა მელა, შეხედა ცაში და იქ დაინახა არწივი, რომელიც კი სივრცეში წრეს აკეთებდა. მერე მოუბრუნდა აქლემს და უდაბნოს ენაზედ წისუსტებული ყურში: „სახლამდის ჯერ ზორსაა, ქარზედ უმღალესო მეგობარო,—მაგრამ ჩვენთან არს ღმერთი. მოვითმინოთ.“ ამის შემდეგ ამოიღო ხურჯინილან რამოდენიმე თავეული, ჩასდო თოფრაში და აუდო აქლემს ტუჩი. როდესაც ნახა რა სიხარბით შეეცეოდა მისი აქლემი საკვებს ერთი კიდევ გახედა გაღმა მხარისაკენ მან.

— ისინი მოვლენ, ნელა წარმოათქვა მან, ვინც მე

აქ მომიყვანა, ისვე მოიყვანს მათაც აქა. უნდა მოვამზადო რამე.

ყუთიდამ ამოილო მან საჭმლის ჭურჭელი, დაფნის ძაფებიდან მოწნული მათარა; პატარა ღვინიანი მათარები; ცხვრის ლირი, ბროწეული, ფინიქსები არაბეთს მოწეული, დავითის ყველი და გაფუუბული პური. ყველა ეს მოალაგა მან კარვის წინ ფარდაგზე, დაბოლოს სამი აბრეშუმის ხელსახოციც გაფინა, მისთანა ხელსახოცები, როგორებსაც აღმოსავლეთის მდიდარი ხალხი ხმარობს იჯრის დროს მუხლებზე გადასაფარებლად. სჩანდა მის მოტრაპეზენი სამნი უნდა ყოფილიყვნენ.

ყველაფერი მზად იყო როდესაც ის გარედ გამოვიდა და აღმოსავლეთისაკენ შავი წერტილი დაინახა, ის გაქვავდა მის დანახვაზედ: თვალებს აცე-ცებდა და ტანში ურუანტელი უვლიდა თითქო როგორც უხილავმა ძალამ შეაშფოთაო. წერტილი გადიდდა და ხელის გულის ტოლა გაღიქცა. პატარა ხანმა გაიარა და გამოჩდა კარვიანი აქლემი. მაშინ ეგვიპტელმა ზეცას შეხედა. „ერთი მხოლოდ ღმერთია დიდი,“ წარმოსთქვა თვალ-ცრემლიანმა მოწიშებით.

მგზავრი თან-და-თან ახლოვდებოდა და ბოლოს შეჩერდა. ის იყო გონს მოვიდა ის. განცვიფრებული შეპურებდა იგი დაჩოქებულს აქლემს, კარავსა და კაცსა. მან გულს ხელები გადაიჯვარადინა, თავი დაღუნა და უქმოდ ლოცვა იწყო, შემდეგ გაღმოხტა აქლემიდან და ეგვიპტელისაკენ წავიდა. ცოტა ხანს ერთი მეორეს შეპურებდენ და მერე-კი გადაეხვივნენ ერთმანერთსა.

— მშეიდობა შენდა ჰეშმარიტის ღვთის მსახურო, სთქვა მგზავრმა.

— შენცა მშეიდობა და სალამი ჰეშმარიტის სარწმუნოების ძმაო, მხურვალედ მიუგო ეგვიპტელმა.

ახლად მოსული იყო ხმელ-ხმელი, მაღალი, ჩასხმული სახის, დიდრონი თვალებიანი თეთრ-წვერებიანი. იარაღი არც მას ჰქონია. ტანთ ინდოეთური სამოსი ჰქონდა. თავზე თურბანი ეხურა. ტანთ-საცმელი ეგვიპტელს მიუგავდა, განსხვავება მხოლოდ მოკლე აბასა და განიერს ჰაიქებში იყო. სანდლების მავიერ წულები ეცვა. ტანისამოსი თეთრი ტილოსაგან იყო. ვაჟაცური მოვანილობა ჰქონდა. ის იყო ნამდვილი გმირი ილლიადას შესანიშნავი გმირისა. ის თითქო ბრამის სიბრძნით იყო გაფრენთილი. ეგვიპტელი რომ გაჩერდა თვალთაგან ცრე-

მლები სდიოდა. „მხოლოდ ღმერთია ღილიო“ სთქვა მან. „და ნეტარ არიან მსახურნი მისნი,“ მიუგო მგვიპტელმა. „მაგრამ მოვიცალოთ,“ დაუმატა მან, „აგრე მესამეც მოდის.“

ისინი ჩრდილოეთისაკენ იხედებოდენ, საიდანაც გემივით მოდიოდა აქლემი იმათკენ. სადაც იყო ისიც მოვიდა.

— მშეიდობა შენდა ძმაო ჩემო, უთხრა მან ინ-დოელს და გადაეხვია კისერზე.

— იყავნ ნება უფლისაო! მიუგო ინდოელმა.

ეს უკანასკნელიად მოსული სრულიადაც არ ჰგავდა ამ ორსა. ის უფრო ნაზი აგებულობისა იყო; სახე თეთრი ჰქონდა, ხუცუჭა თმები გვირგვინს ჰგავდა; მის შავ თვალებში იხატებოდა მისი კეთილშობილური სული. თავში შველა და უიარალო იყო. ტანისამოსი უფარავდა კისერს, ხელებს და ფეხებს. ფეხს სანდლები ეცვა. 50 წლის იქნებოდა. ის იყო ათენიდამ.

ეგვიპტელთან მისალმების შემდეგ უკანასკნელმა სთქვა: პირველად მე მომიყვანა აქა სულმა. აქედამ ვსცან რომ მე ჩემის ძმების მსახურად ვარ დანიშნული, კარავი მზადაა. ნება მიბოძეთ ივასრულო ჩემი მოვალეობა.

ეგვიპტელმა ორთავე შეიყვანა კარავში, სანდლები მოხადა, ფეხები და ხელები დააბანინა და წარხეოცა ფარდაგითა.

მერე თვითონ დაიბანა ხელები და სთქვა: «აშვიზუნოთ თვითეულმა თვისია თვისისათვის, ძმებო, როგორც თხოულობს ამას ჩვენი სამსახური, დანაყრდეთ რომ შევასრულოთ ჩვენ ჩვენი საქმე დალამებამდისინ, თან ერთი მეორეს გავეცნოთ სადაური ვართ ან სახელად რა გვეწოდება.

მან მოუწოდა სერობისათვის ისე რომ ერთი მეორეს პირის-პირ მიჩერებოდენ. უცებ მათ თავი ძირს დახარეს, პირსჯვარი გამოისახეს და ერთსა და იმავე დროს ხმა მაღლა წარმოსთქვეს ლოცვა: „ყავლისა მამა ღმერთო! რაიცა გვქონიან შენია; მიიღე მადლობა ჩვენგან და გვაკურთხე ჩვენ, რათა განვაგრძოთ შენის ნების იღსრულება“. უკანასკნელის სიტყვების შემდეგ აიხედეს მათ ზემოთ და განცვიფრებით შპეხედეს მათ ერთი მეორეს. თვითეული მათგანნი იმ ენაზედ ზარმოსთქვამდა, რომელიც მათ არასოდეს სენიათ და ერთმანეთის სიტყვები მაინც გაიგეს. სასწაულებრივი მღელვარებისაგან მათი სული აღფრთვანებულიყო, რაღვან სცნეს მათ-შორის ღვთის არსებობა.

მდ. კ. ანთაძე.
(შემდეგი იქნება)

ახალი აშშები და შენიშვნები.

* * არაკად არის ნათქვამი: ბლიაძე, მარჯვენა ყური სად გაქვსო? იმანაც მარცხენა ხელი გადმოიდავა თავზე და ძლიერ მოიკიდა ხელი მარჯვენა ყურზე და უჩვენა სადეთკენ ება მარჯვენა ყურიო. სწორეთ ბლიაძისებურათ იქვევინ თფილისის ქართული გაზეთები. ახალ-სენაკიდამ სოხუმამდის და ჩრდილოეთით ტუაპსემდე რკინის-გზის გაყვანის საქმის გადაწყვეტა სამი თვის წინეთ „მწყემსი“-ს გაზეთში იყო გამოცხადებული. ჩვენი ქართული გაზეთები-კი ახალ ამბავად ბეჭდავენ სამი თვის შემდეგ ამ ძველ ამბავს რუს. გაზეთებიდან...

* * კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ ნება მიიღო სახალხო კიოხვათა კომისაგან და სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტი-საგან გამართოს ხოლმე სახალხო აუდიტორიაში სახალხო ლექციები ჰიგიენის შესახებ. ამ დღეებში სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრებამ მოისმინა ამის შესახებ გამგეობის მოხსენება და დაადგინა, დაავალოს გამგეობას მოითხოვოს მთავრობისაგან ნებართვა, რომ სამკურნალო საზოგადოებას აღნიშნულ ადგილში ლექციების გამართვა შეეძლოს ხოლმე.

* * ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, მაღათოვის კუნძულის გვერდით მტკვრის მარჯვენა ტოტი მიწით ამოავსოს და ზედ ბალი გააშენოს. ქალაქის გამგეობამ ინუენტ კოგნოვიცის მიანდო, გამოიანგარიშე რა დაჯდება ამ განზრახვის შესრულებათ. კოგნოვიციმ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვა. მისის გამოანგარიშებით, მტკვრის ტოტის ამოსავსებად 150,000 მანეთი არის საჭირო. ოსტა-ტურად.

გამოუგონიათ ფულების დახარჯვის ლონე! განაორ წელიწადში რაც მიწა გამოაქვსთ ქალაქიდამ ორ ამდენ ადგილს არ აავსებს?!.

* * ტფილისის მაზრაში, როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, 70,240 სული მცხოვრები ყოფილა. აქედან ჯარი და დროებით მცხოვრები—8,366, დარჩა 61,874 სული. ქართველი ყოფილა 31,955 სული, სომხი—9,398, რუსი—9,203, თათარი—7,271, გერმანელი—4,232, ბერძენი—3,030, ოსი 2,802, პოლონელი—715, სპარსელი—176, ებრაელი—157.

* * ქუჩა-ქუჩა ბევრი იმისთანა კაცები დადიან, რომელიც ამბობენ რუსეთში მივდივართ და გზის ფული მოგვეცითო. ესენი არიან პროფესიონალური მთხოვრები, რომელიც ტყუილად იგონებენ რუსეთში გადასახლებას. რუსეთში გადამსახლებელთა დამხმარებელი საზოგადოება სთხოვს ყველას, რომ ამ მთხოვართ არ დაუჯერონ და ვითომდა გადასასახლებელად ფული არ აჩუქონ.

* * შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბოლოოდ გადაწყვიტა დაარსოს კავკასიაში დიდი სასოფლო-სამეცნიერო კოლონია სულით ივად-მყოფთათვის. კოლონია უნდა გაიმართოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ქობულეთის მახლობლად. ამ ეამად ტეხნიკოსთა და მკურნალთა კომისია ადგენენ პროექტს შენობისას და ხარჯთ-აღრიცხვას 1904 წლისათვის.

კვირის, 30 ნოემბერს, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ უკანასკნელად სწირა ფოთის ტაძარში. ეპისკოპოსი გამოეთხოვა თავის სამწყსოს; ნაწირებში ფოთის საზოგადოებამ გამგეობის დარბაზში საპატივცემულო საღილი გაუმართა. საღილს დაესწრო ქალაქის მოურავი, ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხვანი. ქალაქის მოურავმა საბჭოს მინდობილობით სიტყვით მიჰმართა ეპისკოპოსს.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე შემოიღება ვესტინგაუზის ტორმოზები. ამას წინად „კავ.“ სწერდა, რომ ამ ტორმოზების შემოღების გამო კონდუქტორთა რიცხვი უნდა შემცირდეს, ამიტომ 1904 წელს 829 კონდუქტორს დაითხოვენ სამსახურიდანათ. ეხლა რკინის გზის გაზეთი, „ვესტ-კავ.“ უელეზ. დოროვ“, სწერს, რომ ეს ამბავი სავსებით არ არის მართალი: კონდუქტორთა რიცხვის შემცირება მართლაც განზრახულია, მაგრამ დათხოვნით არაეს დაითხოვენ, არამედ იმათ ნაცვლად, ვინც წავა, ახლებს აღარ მიიღებენ და ასე რამდენისამე წლის განმავლობაში საერთო რიცხვი შემცირდებათ.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახვს ჭითურის ვიწრო ლიანდაგიან შტოზე მატარებლების ელექტრონით მოძრაობა შემოიღოს.





ს ქ ა კ ლ ა დ ა მ ე ს უ რ ა ე რ ე ბ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი დ ი ს ი კ ა ნ ი შ ე ბ ა დ ა კ რ ი ს ტ ი ა ნ ი.

ს ა უ ბ ა რ ი დ ა ბ ა დ ი ხ ა დ ა ნ.

რ უ ს უ ლ ი დ ა ნ.

შ ე ქ მ ნ ა .

წ ი გ ნ ი „ შ ე ქ მ ნ ა თ ა “ , თ ა ვ ა პ .

ქრის კითხვები და საგნები, რომელთ შესახებ ჩევ შეგვიძლია ეჭვში დავრჩეთ ან-და სულაც ვერაფერი გავიგოთ,—და იმავე დროს, უბრალო დაუქმაყოფილებელ ცნობისმოყვარეობის მეტს, არავითარ უსიამოვნებას არ ვგრძნობდეთ. მაგრამ არის ისეთი საგნები და კითხვები, რომლებიც ჩვენთვის მეტის-მეტათ მნიშვნელოვანია და ისე ღრმათ ეხება ჩვენს არსებობას, რომ მთელი სიცოცხლე წამებათ და «სულის მუსერათ» გადაგვეტყვა, უკეთუ ეს კითხვები აუხსნელი და განუმარტებელი დაგვირჩა. ასეთია კითხვები, რომლებიც ჩვენს გაჩენას, ჩვენს ამ-ქვეყნიურ დანიშნულებას და მომავალ ბედის-წერის შექება.

როდესაც წარსულს თვალს ვავლებთ და შორეულ დგმათა და საუკუნეებს გავცეკრით,—არ შეგვიძლია ჩვენს თავს შემდევი კითხვები არ დაუყინოთ: საიდან გაჩნდა ქვეყანაზე კაცთა ნათესავი?. საიდან წარმოსდგა თვით ეს დედა-მიწა და მთელი ქვეყნიერება?..

ხოლო, როცა აწმყოს ვაკირდებით,—ვგრძნობთ საჭიროებას ვიცოდეთ, თუ რისთვის ვართ ამ ქვეყნად დადგენილი და აქ რა დანიშნულებას უნდა ვასრულებდეთ; რადგან, შესაძლებელია განა ჩვენი არსებობა უბრალო შემთხვევებით მოვლენა იყოს, უმიზეზო და უმიზნო? პირ-იქით, უეჭველია, მას შემოქმედების საერთო გეგმაში ცხადი და განუსაზღვრელი მიზანი უნდა ქონდეს; თუ ასე არ იყოს,

მაშ რად აქვს კაცს მინიჭებული ეს საუცხოვო ძალები: გრძნობა, ნება და გონიერება?..

უკანასკნელი, თუ ჩვენს გონების თვალს მომავლისკენ მივაჭცეთ,—რაღაც უძლეველს და მწვავს სურვილს ვიგრძნობთ—ამ მომავალს ფარდა ავხალოთ და შევიტყოთ, თუ რა მოგველის საიქიოს, საფლავს იქით, საუკუნეთა საიდუმლო სიღრმეში?

მოაზრე იდამინები მუდამ-დროს იმის ცდაში იყვნენ, რომ ეს კითხვები რაიმე გზით აეხსნათ და განემარტეთ, მაგრამ ცყელაზე უუბრძენესნი მათ შორის, ათას გვარ ცდისა და მეცადინეობის შემდეგ, მხოლოდ იმ რწმენამდის მიღიოდენ, რომ ამ-გვარი კითხვის რიგიანი ახსნა-განმარტება არამც-თუ კერძო პირების გონებას, არამედ მთელ კაცობრიობის შეერთებულს გონებრივ ძალებსაც-კი ბევრად აღემატება, და რომ ამ კითხვების აღსნა მხოლოდ მღვითისაგან შევიძლია მივიღოთთ.

მარტო ერთი ბიბლია, «დაბადება» გვაწვდის ამ შემთხვევაში სასურველს და საჭირო ნათელს. ის თვალწინ გვიშლის კაცობრიობის საერთო ისტორიის დიდებულ სურათს და მის მომავალ ბედის-წერის შესახებ უეჭველ საბუთებს იძლევა.

წიგნი „შექმნათ“ პირველი წიგნია მოსე წინასწარმეტყველის ხუთ წიგნთა შორის; და, როგორც თვით ამ წიგნის სახელი გვიჩვენებს, იგი არის წიგნი იმის შესახებ, თუ რაც შეიქმნა, ანუ გაჩნდა. იგი ჩვენ ცყელა ნივთების გაჩენაზე მოგვითხრობს. ამ წიგნიდან ვტყობილობთ, რომ ღვთის სიტყვის ძალით ცველაფერი არაფრისაგან გაჩნდა და ის, რაც წინეთ უჩინარი იყო, ხილული შეიქმნა. (ებ., თ. Ⅷ გ. 3).

შევჩერდეთ აზრით შემოქმედების დიდებულ და საოცარ სურათზე. შემოქმედისადმი მოწიწებით გამსჭვალულთ წავიკითხოთ საღმრთო მწერალის მოთხოვთა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოსდგა ღვთის ერთი სიტყვით არაისაგან ათასგვარი სულიერი არსება, რომელსაც სიცოცხლე მისთვის მიუღია, რომ თვისი გამჩენის ძლიერება და მოშუალება იღირდოს.

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა.“ ქმნა ღმერთმან,—აი სიტყვა, რომელსაც მარტოდ მხოლოდ შეუძლია აღსნას არსებობობა მთელის ქვეყნიერობისა და იმისი, რაც ქვეყნიერობაში არსებობს. არის ღმერთი; და ეს ღმერთი შემოქმედია ყოვლის არსისა: აქ სრულს და საბოლოვო

პასუხს ჰქონებს ის კითხვა, რომლის შესახებაც ისე სამარტვინოთ ბრკოლდებოდა ყოველთვის სიბრძნე კაცობრივი, როდესაც მის ასაღინელათ ათასებარ პასუხს თხზავდა, ერთს—მეორეზე უფრო უაზროს, უმატინჯეს და ზოგჯერ სასაცინოს.

არცერთი იმ ხანმოკლე არსებათაგანი, რომელიც ქვეყნიერობას მუდამ მოძრავ სცენაზე ჩნდებიან და ჰქონებიან, თვის არსებობის მიზეზს თვისთავში არ შეიცავს, რადგან თვითოული მათგანი სხვა რომელისამე არსებისაგან წარმოებს. მაშასადამე, სჩანს, რომ ეს მიზეზი სადმე სხვაგან, ამ არსებათა გარეშე უნდა ვეძიოთ; მას ვპოებთ ღმერთში. მართლაც, მისი სახელიც ასეთია—იეგოვა, რაიც, ებრაულ ენიდან, ნიშნავს: „მე ვარ, რომელი ვარ“ (გამოსვლათა, თავი გ. მუხ. 14), ე. ი. იგია საუკუნო არსება, რომელიც თვის არსებობის მიზეზს თვისშორისავე შეიცავს. ყველაფერი, რაც არსებობს, მისგან სწარმოებს; მისით სძლებს და მას უპყრია მოელი ქვეყნიერობა. წართმევა ამ პირველ საფუძვლისა ნიშნავს ყოვლისავე გაქრობას და არარაობაში დაბრუნებას.

ღმერთმა ქმნა, ე. ი. უბოძა არსებობა ყოველსავე მას რაც მანამდის არ არსებობდა. არც ერთ არსებას, არც ერთ ქმნილებას, არცვითარს ნივთიერებას არ შეეძლო თავისთავათ არარაისაგან წარმომდგარიყო, რადგან არაფერის არ შეუძლია რაიმე წარმოშობოს. მარტო ღმერთმა, ყოვლის შემძლება საუკუნო არსებამ, გამოიწყია თავის შემოქმედებითი სიტყვით ყველაფერი არაფრისაგან.

ყველა ქმნილებაზე უწინ არსებობდა მხოლოდ უფალი ღმერთი, არსებობის იმ საუკხოვო სისრულით, რომელიც თავის მიზეზს და საბოლოოვო მიზანს თვის შორისვე შეიცავს. თვის უსაზღვრო ნეტარებისათვის მას არ ეჭირვებოდა არაფერი, რაც მის გარეშეა. მას არაფერი არ აფალებდა რამე შეექმნა. ამიტომაც ქვეყნიერობის გახენა მხოლოდ მისი თავისუფალი ნების, სიბრძნისა და ძლიერების შედევგია. თუ მან არსებობისადმი მოგვიწოდა,—ეს მხოლოდ მისთვის, რათა თავისი დიდების და საუკუნო ნეტარების მოზიარე გავეხადეთ.

ჩაფიქრებიხართ როდისმე ყოველსავე ამას, მმანო! და თუ ჩაფიქრებიხართ, გამსჭვალულხართ თუ-არა მოწიწებით, შიშითა და მადლობის გრძნობით იმ პირველ წყაროსადმი, რომლისგანაც ყოველ გვარი სიცოცხლე მომდინარეობს?..

ადამიანთა ენაში არ მოიპოვება სიტყვა, რომლითაც შესაძლო იყოს იმ უფსკრულის განსაზღვრა და გამოხატვა, რომელიც ღმერთსა და კაცო-შორის არსებობს. და მართლაც: რა არის ღმერთი და რაა კაცი?!

იგი საუკუნოა, ე. ი. მისი არსებობა არც ერთი ათას, ასი ათას და მილიონ წლობით არ გაიზომება; იგი უსაზღვროა და უსაზღვროთ სრული არსებაა. ადამიანი კი—უსრული და ხანმოკლე არსება. ღმერთი თავისთავად არსებობს, მისი სიცოცხლის წყარო თვით მას შივეა. ადამიანი-კი სრულიად უმნიშვნელო არსება, რომელიც მარტო ღვთის ნებისა და ყოვლად შემძლებელობის წყალობით არსებობს. ამის შემდეგ განა ცხადი არაა, რომ ადამინი მთელი თვისი აზრებით, სურვილებითა და გონებით ღვთისადმი უნდა მიისწრაფებოდეს, ღვთისკენ უნდა იყოს მიმართული მისი გული და გონება?..

მაგრამ ნამდვილათ-კი ასეა, თუ არა?..

ოჳ, რა ძნელი და საშიში მოსავონია, ძმანო, რაც ნამდვილად ჩენენშორის ღვთის შესახებ ხდება!

ადამიანი—ეს ნამდვილი არარაობაა, ზოგჯერ არარიგ ბედაეს ღვთის წინააღმდეგობას, იმ ღვთისა რომელშიაც მისი სიცოცხლე, მისი სულოქმა და ყველაფერია!.. «მაგრამ, განა ეგ შესაძლოა, ნუ-თუ გაბედაეს ვინმე თავის გამჩენს წინააღმდეგობა გაუწიოსო», —იქნება იფიქროთ თქვენ. მაგრამ ურწმუნება და უკეთურება, განა ეს ღვთის წინააღმდეგობა არ არის?.. ხოლო ცოდვები და უსჯულოებანი, განა ესეც ღვთის წინააღმდეგობა არ არის?!

დააკვირდით, ძმანო, და სცანით რომ ყოველსავე ამას მარტო ჩენენ, ეგრეთ წოდებული უმაღლესი არსებანი ვებედავთ; უმდაბლესი არსებანი-კი, როგორიცაა მაგალითად მთელი არა მეტყველი ბუნება, მტკიცედ აღგიან შემოქმედისაგან მოცემულ კანონებს... განა რომ კეთილდა ვხმარობთ ღვთისაგან მოცემულ ნიჭისა?!.. იკითხება: გვაქვს-და უფლება ჩენენს თავს უუმაღლესი და უუსრულესი არსება, ქმნილებათა გვირგვინი ვუწოდოთ?!

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)





ც ხ ღ რ ე ბ ა

წმიდას მამის ჩვენის

ნიკოლოზ საკვირველთ მოქმედისა.

წმიდა ნიკოლაოზ საკვირველთ მოქმედი დაიბადა მცირე აზიაში, ლუკის მხარეში, ქ. პარში 257 წ. მისი მშობლები, ოეოფანე და ნონა, ქრისტიანები იყვნენ; სიმღიდრე კარგი ჰქონდათ და მათხვარნი და ლატაკი—დიდათ ებრალებოდათ. მათ შვილი დიდხანს არ ჰყავდათ, ამიტომ მხურვალეთ ევედრებოდენ ღმერთს გაებედნიერებია იგინი შვილიერობით. ღმერთმა ისმინა მათი ლოცვა, მისცა მათ ძე, რომელსაც მშობლებმა ნიკოლოზი უწოდეს. პატარაობიდგანვე ემჩნეოდა წმიდა ნიკოლოზს ის კეთილსასოება, რომლითაც იგი შემდეგში იდიდა ლვი ისა და კაცის წინაშე. მას სამღვთო წერილის კით კადა ეკკლესიაში სიარული ფრიად უყვარდა და უკრეს დროს ატარებდა ლოცვას და ლვის ვედრებში. კეთილმორწმუნე მშობლები დიდათ დაეხმარენ შეილის ამნაირ ხასიათს. კეთილი ლაპარაკით და სამღვთო წერილის კითხვით პატარაობიდგანვე განუვითარეს მას ამნაირი მიმართულება. მათი მოძღვრება ღრმათ ჩაენერგა უმანკო გულში წმ. ნიკოლოზს. პატარაობიდგანვე შეიყვარა მან უმცროსი ძმანი თვისი—გლახაკნი: არასოდეს არ გაიღლიდა მათ ახლო ისე, რომ რამე სანუჯეშო სიტყვა არ ეთქვა, ან მოწყალება არ მიეცა მათთვის. ნიკოლოზის მკვიდრი ბიძა, პატარის ეპისკოპოზი ნიკოლოზი, რომელიც ხედავდა თავის ძმისწულის კეთილ ცხოვრებას და ხასიათს, ურჩევდა მის მშობლებს შეწირათ თვისი შეილი ლვის მსახურებისათვის და, როცა იგინი ამაზე დაითანხმა, მან აკურთხა ის მღვდლათ. როდესაც წმიდა ნიკოლოზს ხელდასხვდა, აღივსო ძალითა წინასწარმეტყველისათა, მიუბრუნდა ხალხს და უთხრა: „ძმანო, მე ვხედავ ახალ მზეს, აღმომავალს ქვეყანას ზედა, რომელსაც ნუჯეში მოაქს ყოველთა დამაშვრალთათვის. ნეტარ-არს ის სამწყსო, რომელსაც იგი უწინამდვრებს; იგი განუმტკიცებს მას სარწმუნოებასა ლვთისასა; დააყინებს მას ცხოვრების კეთილ-გზაზე და იქნება მტკიცე შემწე და მფარველი ყოველთა შეწუხებულთა და შევიწროებულთა.“ მთელი ცხოვრება წმიდა ნიკოლოზისა ამ წინასწარმეტყველების აღსრულება იყო.

არაოდეს არ დაუგდია მას შემწეობა არიბთა და გაჭირვებულთა; მფარველობა შევიწროვებულთა და უბედურთა, განმტკიცება ქრისტეს სარწმუნოებისა მათში, ვისაც ხედავდა, რომ ეს სარწმუნოება სუსტი ჰქონდა და აღსრულება მოწყალებისა და სიყვარულისა ყოველი კაცისადმი.

ერთხელ წმიდა ნიკოლოზის ბიძა წავიდა იერუსალიმში წმიდა ადგილების თაყვანისაცემათ და ეპარქიის მართვა ჩაბარა თავის ძმისწულს. ამ დროს წმიდა ნიკოლოზს მშობლები დაეხოცენ. მთელი თავისი აუარებელი ქონება, რომელიც მშობლებმა დაუტოვეს, მან მოახმარა კეთილ საქმეებს:—დაურიგა ღარიბთა, ღატაკთა და ღავრდომილთა. ამას-თანავე წმიდა ნიკოლოზი, ვინაიდგან მან კარგათ იცოდა და ესმოდა მცნება უფლისა, რომელიც გვიბრძანებს გავსცემდეთ მოწყალებას დაფარულათ და არ ვეძიებდეთ სახელსა და დიდებას კაცთაგან, ცდილობდა, რომ მათ, ვისაც იგი ასე იბრალებდა, არ შეეტყოთ, თუ ის იყო მათი კეთილისმყოფელი. მრავალი აღამიანი იხსნა წმ. ნიკოლოზმა ცოდვისა და სიღარიბისაგან თავისი მოწყალებით. მოგითხოვთ ერთ მის ამგვარ მოწყალებას.

ქალაქ პატარში სცხოვრებდა ერთი ძალიან შეძლებული კაცი. მაგრამ ის სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო სრულიად გაღატაკდა. ამ კაცს ჰყავდა სამი ასული გათქმულნი მთელს ქალაქში თავისი სიმშევენიერე-სილამაზით. ამან, მიჩვეულმა სიმდიდრესა და ფუფუნებას, ვერ შეიძლო გამკლავებოდა მისთვის აუტანელ სიღატაკეს და ამიტომ გადაწყვიტა შეეწირა პატიოსნება და უმანკოება თვისთა ასულთა, რომ ამით მოეპოება საღსარი ცხოვრებისა და სიღარიბეს გაქცეოდა.

წმიდა ნიკოლოზმა, ამ კაცის ამნაირი უბედური მდგომარეობა როგორც კი გაიგო, გადაწყვიტა საჩქაროთ მიშველებოდა მას და გამოეხსნა ის ამისთანა ცოდვილ და სამარცხვინო საქმისაგან. რაღანაც არ უნდოდა მისი ვინაობა გაეგო ვისმე, ის ადგა ღამით, წავიდა ღატაკის სახლში, მივიდა მის ქოხის ფანჯარასთან და ერთი ქისა ოქრო შეუგდო ათახში. ღატაკი რომ დილით ლოგინიდგან ადგა, ნახა ეს ოქრო და ისე გააკვირა ის ამ მოულოდნელმა ბედნიერებამ, რომ ვერ გამოერკვა ფხიზლად ხედავდა ამას თუ ძილში. ამ ოქროებით მან თავისი საქმეები გამოასწორა, გამოაწყო და მაღვე თავისი

უფროისი ასულიც გაათხოვა. ეს რომ წმიდა ნიკოლოზმა გაიგო, ძალიან გაეხარდა და გადაწყვიტა მეორე ქალიშვილის ბედიც ამგვარად მოეწყო. რა-მდენიმე ხნის შემდეგ მან კიდევ შეუგდო ღამით ამ კაცს ოქროებით გატენილი ქისა. ამნაირი სასწაულებრივი დახმარებით გახარებული ღატაკი დავარდა მუხლებზე და ოვალურებულიანი მადლობდა უფალს: „მოწყალეო უფალო, ამბობდა იგი, შენ, რომელმან გამოგვისენ ჩვენ წმიდითა სისხლითა შენითა, ხელი კვლავ გვისნი მე და ჩემთა ასულთა ცოდვათაგან ოქროითა უცნობისა კაცისათა. მიჩვენე მე, უფალო, ეს ქვეყნიერი ანგელოზი, რომელიც გვისნის ჩვენ ცოდვისა და წარწყმედისაგან.“ მოხუცმა მამამ გა-ათხოვა მეორე ქალიშვილიც. ბოლოს ერთ ღამეს კიდევ გააღო ფანჯარა და უცნობ კეთილისმყოფელის ხელმა მესამედ შეაგდო ქოხში ოქროები. ქოხის ღარიბი პატრინი გამოედევნა თავის მფარველს და რომ დაეწია, გაიგო ვინც იყო — წმიდა ნიკოლოსი. დაუკარდა ფეხებში, თვალურებულიანი მადლობდა და უწოდებდა მას მხსნელიად მისთა ასულთა, და მაცხოვრათ სულთა მათთა, რომელნიც, უკეთუ ის არ მიშველებოდა, უნდა დაღუპულიყვენ სულითა და ხორცით; „უკეთუ მოწყალე ღმერთს არ მოევლინე შენ ჩვენ გამოსახსნელათ, ამბობდა მოხუცი, მე უსათუოდ ჩავყრილი ცოდვასა და გარყვილებაში უდანაშაუროთა და უმანკოთა ასულთა ჩემთა.“ წმიდა ნიკოლოზმა იაყენა ის და ფიცი ჩამოართვა არავისთვის ეამბნა მას ეს ამბავი.

წმიდა ნიკოლოზმა, როდესაც ბძა მისი წმიდა ადგილებიდან დაბრუნდა, გადასცა მას პატარის სამწყსოს მართვა და ოვითონ-კი გაემგზავრა ზღვით პალესტინაში მაცხოვრის საფლავის თაყვანისაცემათ. მგზავრობის დროს ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და ზღვამ საშინელი ღელვა დაიწყო. გემში მყოფნი ყოველ წუთში მოელოდენ დაღუპვას და ზღვის უფსკრულში ჩანთქმას. ამ გარემოებით შეშინებული მგზავრები სულითა და გულით სთხოვდენ უფლის სათნომყოფელს დახმარებოდა მათ თავისი ლოცვით. წმიდა ნიკოლოზი დავარდა მუხლებზე და მხურვალე გულით შესთხოვა ღმერთს გამოეხსნა იგინი უბედურებისაგან. უცბათ ქარი ჩადგა, მზემ გამოანათა და ზღვა დაწყნარდა. ამისმა დანახვამ მგზავრები დიდათ გააკვირვა. წმიდა ნიკოლოზი მოვიდა პალესტინაში, მოიარა იგი და თაყვანისცა მაცხოვრის საფლავს და სხვა წმიდა აღგილებსაც.

წმიდა ნიკოლოზმა დიღხანს დაჰყო პალესტინაში და ბოლოს დაბრუნდა ისევ პატარში. მივიდა სიონის მონასტერში, რომელიც მისი ბიძის ნიკოლოზისაგნ იყო დაარსებული, და აქ მარტოებასა და ლოცვაში უნდოდა მას გაეტარებია დანარჩენი თავისი სიცოცხლე. მაგრამ უფალმა დაუნიშნა მას სხვა გზა, უფრო სასარგებლო ქრისტიანთათვის. ერთ ღამეს წმიდა ნიკოლოზის, როდესაც ის ჩვეულებრივ მხურვალეთ ლოცვილობდა, შემოესმა ხმა: „ნიკოლოზ, თუ გინდა ჩემგან გვირგვინი მიიღო, იძღვ შრომა ხალხის მოძღვრისა. მონასტერში განმარტოებით ცხოვრება, რომელიც შენ ამოირჩიე, არ არის შენთვის ის გზა, რომელზედაც შენ შევიძლია მრავალ კაცს მოუტანო სარგებლობა. წარვედ ხალხში და მის შორის განადიდე სახელი უფლისა და განამრავლე რ ცხვი წევრთა სამეფოსა უფლისა იქცო ქრისტესი.“ წმიდა ნიკოლოზი მიხვდა, რომ ღმერთი მას უჩინებელი ებს სხვა ცხოვრებას, რომელიც მან უნდა შესწიროს ზრუნვას არა მარტო თავისთავის ცხონებაზე, არამედ — მრავალ მორწმუნეთა ქრისტიანულ იღზრდაზე. ის დაემორჩილა უფლის ნებას, დასტოვა მონასტერი და, თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რა საქმეს უნიშნავდა მას ღმერთი, წავიდა ლუკიის უმთავრეს ქალაქ მირონში, ის სულით და გულით განმზადებული იყო შეეწირა მთელი თავისი ძალ-ღონე ეკკლესიათათვის იმ საბიჯელზე, რომელსაც მას უფალი უჩინებდა. წმიდა ნიკოლოზის მირონში მოსვლის რამდენიმე ხნის წინეთ გარდაიცვალა არქიეპისკოპოზი ამ ქალაქისა; ამისათვის ლუკიის მხარის ეპისკოპოზები შეიკრიბენ მირონში გარდაცვალებულ მღვდელთმთავრის მოადგილის ამოსარჩევათ. იმათ ძალიან გაუჭირდათ ამ მოადგილის ამორჩევა, რადგან ვერავის, ვისიც ამორჩევაც კი შეიძლებოდა, ვერ ხელავდენ ამ ადგილის ღირსათ. იმისთანა ქალაქისათვის, როგორიც იყო მირონი, საჭირო იყო კაცი განათლებული, მჭერმეტყველი და ყველასაგან პატიცცემული თავისი კეთილი და წმიდა ცხოვრებისათვის. მათ დიღხანს ჰქონდათ თათბირი — თუ ვინ ამოერჩიათ, მაგრამ ვერას გახდენ.

მღვ. ბ. კაპანაძე.

(შემდეგი იქნება)

განცხადება.

მისამართის-მოწვევა 1904 ჯლისათვის ოს-
კის განცხადების გარემონტის შესახებ

„მუზემს“-ზე



რუსული «ПАСТЫРЬ»-ზე

კურნალის ფასი:

| | |
|--|--------------------------|
| 12 თვით «მწყემსი» | 6 თვით «მწყემსი» 2 გ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 გ. | — „, რუსული „, 2 გ. |
| — „, რუსული „, 3 გ. | — „, ორივე გამოცემა 3 გ. |
| — „, ორივე გამოცემა 5 გ. | — „, ორივე გამოცემა 3 გ. |

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ევინდაში რედაქტირა, ქუთაისში ბ. ნ. ესტატე ლამბაშიძესთან, თბილისში წერა-კოსტეს გამაცერცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზი, ბ. შოთ ქუჩუაშვილისან. ახალგაზისებრი — ბლალიჩინ მამა ა. კალანდარიშვილთან.

კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელს წლით ორივე გამოცემა სამ მანეთა დ.

რედაქტირა იმყოფება დ. ევინდაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბაზე მცხოვრებთ კურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Европи, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქტირა მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქტირა მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალიგი დრო-გამოშვებით უურნალშიდაც იძექდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქტირიდან.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის
ცნობის ცურცელი
სურათებიანი დამატებით კვირაში რკინ
(წელიწადი მეცხრე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 გ.
6 თვით 4 გ. 1 თვით 50 კაპ., სამზღვარ-გარეთ ერთი წლით 9 მან., 6 თვით 5 გ., 1 თვით 90 კ.
თვიურ ხელის მოწერის სურათებიანი დამატება არ გაგზავნება.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისთანავე 4 გ.
დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

კრამბი

(წელიწადი მეცხრეთმეტე)

ფასი კურნალის გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან.
6 თვით 6 გ. 3 თვით 3 მან. სამზღვარ-გარეთ: ერთი წლით 13 მანეთი, 6 თვით — 7 მან., 3 თვით — 5 გ.,
ვინც „მოამბე“ მთელი წლით გამოიწერს,
„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქნას შემოტანილ.

წლიური ფასის განაწილება თრიგვე გამოცემაზე:
პირველად 6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის,
და 5 გ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მან.
1-ლ აგვისტომდე — 3 მან.

რომორც «ცნობის ფურცელის» ისე «მოამბის»
მხოლოდ წლიურ ხელის მოწერით, პრემიად

გაეგზავნებათ უკელა ნაწერები

კრამბის ცნობის ცნობის

1904 წელს „ცნობის ფურცლის დამატებაში დაიწყება ბეჭდა სურათებისა, „საქათველოს ერნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება ბურილან. სურათები იქნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგაშვილის მიერ.

გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მოწერით გაეგზავნებათ
წლის განმავლობაში

რომელ საქამანვილო წიგნი ცურათისი

(გამოდეს სამ თვეში ერთხელ)

ოთხი წიგნი შეადგინეს 250 გვარდა.

წლიური ფასის გარდა, ქალაქ-გარედ ხელის-მომწერლებმა პრემიის გასაგზავნად რედაქციას უნდა გამოუვავნონ ფოსტის ხარჯად 55 კ.

რედაქცია უმორჩადესად სასთვეს ზემთ აღნიშნულ გა- მოცემათა დაბეჭის მსურველთ, 25 დაკვებბრამდე დაი- კვეთონ, რომ კნტორაშ მთასწროს აღრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გაზიარება.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუ- ჩაზე. ტელეფონი № 372

ადრესი რედაქციისა: თიფლის, ვ. რედაქციის „მოამბე“ და „ცინიცის-პურცელი“. 3—1

ს. პოლიტიკა, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„პრალი“

(წელიწადი მეთორმეტე)

გამოვა 1904 წელსაც ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი მცილისში: ერთი წლით დღის 7 მან. ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., სამი თვით— 2 მ. თითო ნომერი—15 კაპ. მცილის გარეთ: ერთი წლით დღის 8 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს უფლებით წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიღება თბილისში «წერა-კითხების სახურავის კუნცელაზაში» (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქ-რეასლი); რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუჟეტში ესტ. ჩხარ-ტიშვილთან და თეთო «კვალის» რედაქციაში.

(რუსის ბაზარი, საეკუთხესით სახლებში).

ტელიკოს გარეთ:

ქუთაისში: მიტრონოვანე ლალ-ქესთან და ვ. ბერიანიშვილის წიგნის მაღაზიაში; და ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ- სენაკში გ. თავართქილაძის წიგნი, მაღაზიებში, ჭიათურაში—კალ. ჭიპინაძესთან და გ. ბერიძესთან; უვრილაში ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში— საარალო სამკითხველომი; დეველ სენაკში არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში დომენტი შევიშვილთან; საბუნებაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

ფოსტის ადრესი: თიფლის. რედაქცია „კვალი“

3—1

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ი მ ე რ ი პ

გმოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრა- მით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ გაზეთი გაუმჯობესოს. იმ თანამშრომელთს გარდა, რომელიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რე- დაქციის სხვა ჩვენი მწერლებიც დაპირდენ თანა- მშრომლობას.

ფასი გაზეთის ისევ თუმანია ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ს. კ. კის-მომწერთ, რომელიც სრულ ფასს შეიღირგან 1 თებერვლის დაურიგდებათ პრემიად კრ. ლ. ნ. ტოლსტოის რომანი «ალდგომა» («ВОСКРЕСЕНИЕ»).

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილის გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ- უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის მოწვევა მიიღება:

ტფილისში: „ივერიის“ რედაციია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა- კითხვ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ქუთაისში: ბევრებიშვილის და წერეთლის წიგნის მა- ღაზიაში,

ბათუმში: ნიკოლაძის უურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნებაში: პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში: პართენ ნასიძესთან.

გრძელში: სოფრონ კანდელაკთან (სალგურზელ).

გორში: ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზე—15 კაპ. სტრ., მეოთხეზე—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალ- კე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: თიფლის, რედაქცია „ივერია“.

3—1

საქმინებილო ნახატებიანი უკანასაზღ
„ХЕХИЛЛИ“
ფელიშადი ვა-15-თა

გამოვა 1904 წელს თევეში ერთხელ. უკანასაზღიანი განცხადება: პატარაებისათვის და მოზრდილთათვის.

„ХЕХИლი“ მონ. წილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდამ დაიწყება ბეჭდეა ინგლისელ მწერლის მარკ ტევრის მოთხრობისა: ტახტის მემკვადრე და მათხვარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

სეზის მომენტებს დაურიგდება პრემიათ დასურათებული ზღაპრების კრებული.

ეურნალი „ХЕХილი“ ტფილისში ღირს 4 მან. ჯალაქ გარედ 5 მ. ცალკე ნომერი 50 კ.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში და თვით „ХЕХილის“ დედაქციაში (Артилерийская ул. № 5). ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, ред. груз. дѣтскаго журнала Джеджили.

რედაქტორ-გამომცემელი ა. თუმანიშვილი—
ქურთლისა.

ПАСТЫРЬ

ს. მ. პ. ილიაშვილის

ს ა ს დ მ ჟ ი რ ვ ი რ ი

რომელიც იმეოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ლლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია მინაგან, ხერებისა, საქორენგო, დედათა და ოვალით ავადმეოფათვის, მმობიარეთა განვითარებით და ქიმიურმკროსკონიულ გამოკვლევათა გაბინეტით. გადაძების სენითა და სულით ავადმეოფათვის ამჟურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-დამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთით 3 მანეთით. (7)

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ვ. ლამაშიძე.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій декабря 16 1903 г.

Типог. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.

ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა)

ი ა კ ო ბ გ მ გ ა ზ ვ ი ლ ი ს ა .

ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც. ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

უკირილი ყო გალობის; მასწავლებელი სერგეი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულის საეკლესიო და საეპო გალობის ნოტების სამუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ვასილ მაჭავარიანის სახლი— ქვედა ხიდის პირდაპირ.

ამით გაუწევებ პატივცემულ საერთ და სამღვდელო წოდებას, რომ მე გავხსენი დაბა ჰვირილაში საღურგლო კანკელისა და იკონისტა დასამზადებლად, კანკელებს, ცალკე სამეუფეო კარებსაც ვიღებთ ძლიერ იაფად. იმედი გვაქს, რომ პატივცემული საზოგადოება და სამდვრელოება ჩვენი ნაკეთებით არ დაწება უკმაყოფილო.

იკონსტაციის მეთებელი ტ. ჭიშკარიანი.

უ ი ნ ა ა რ ს ი :

რედაქციის საგან.

სალითერატურო განცემილება: ეხლანდელი დროის ჭირ-გარამის გამო, დეკ. დ. ღამბაშიძის.—ძველი და ახალი შეოლები რაჭაში, რაჩველი.—წერილი ზემო იმერეთიდან, მღ. ს. ჭუმბურიძის.—წერილი რედაქციისადმი, ვღ. ბ. კაპანძის.—ახლად შობილს ქრისტეს აკანთან, (საშობაო მოთხრობა მოგვების თაყანისცემაშედ). მღ. კ. ანთაძის.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სავალა და მაცენოებება გრისტიანობის სარაზ-ნოებასა და კათოლ-ჯეორგაზე: საუბარი დაბა დებიდან, ს. გორგაძის.—ცხოვრება, წმიდასა მამისა ჩვენისა მიკოლობ საკვირველთ მოქმედისა, მღვ. ბ. კაპანძის.—განცხადებანი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Георгій декабря 16 1903 г.